საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ლევან თევზაძე

# ბიულეტენი

| |
|---|
| კენჭისყრა - 09.07.2025 |
| თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა? |
| დიახ  არა |

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**
**ლევანი თევზაძე**

**9 ივლისი, 2025 წელი** **თბილისი**

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,**
**ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს**

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ლევან ნემსაძის საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების**

## **დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 10 აპრილის №1/35 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, რომელშიც სხვა კანდიდატებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ლევან ნემსაძემ.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი და საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შევაფასე პროცედურაში მონაწილე კანდიდატი - ლევან ნემსაძე, რის შედეგადაც მივიჩნევ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას 100 ქულიდან მივანიჭე 91 ქულა.

ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრის მიერ განხორციელებული შეფასებების საფუძველზე, კანდიდატის მიერ დაგროვებულ ქულათა ჯამმა შეადგინა 1185 ქულა, რაც მაქსიმალური ქულის 91.15% შეადგენს, ხოლო კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ყველა მათგანმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. შესაბამისად, დაგროვებული ქულათა ჯამის მიხედვით, ლევან ნემსაძემ დაიკავა პირველი პოზიცია.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის 30 ივნისის №1/49 განკარგულების თანახმად, აღნიშნული შერჩევის პროცედურის შემდგომ ეტაპზე გადავიდა - ლევან ნემსაძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2025 წლის 9 ივლისს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ღია კენჭისყრა, სადაც კენჭი ეყარა ლევან ნემსაძის კანდიდატურას, მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის გადასაწყვეტად. შესაბამისად, მე მხარი დავუჭირე ლევან ნემსაძის კანდიდატურას, რადგან მიმაჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის.

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი**

**ლევანი თევზაძე**